„ა(ა)იპ“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

თამარ ცინცაძე

# ინტერაქტიული სწავლება და შემაჯამებელი დავალებები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ხათუნა ხალვაში,
განათლების აკადემიური დოქტორი

ხიჭაური
2019

# ანოტაცია

წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების მაგისტრანტ თამარ ცინცაძის ნაშრომში „ინტერაქტიული სწავლება და შემაჯამებელი დავალებები“ აღნიშნულია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სწავლა-სწავლების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს საგაკვეთილო პროცესის სწორად წარმართვას, შემაჯამებელი დავალებების ეფექტურობასა და სრულყოფას.

თემის მიზანია მასწავლებელმა კარიერული წინსვლისა და განვითარებისათვის გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდები და ხერხები, რომელიც ეფექტურსა და მოსწავლეებისათვის საინტერესოს გახდის როგორც გაკვეთილს, ისე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების პროცესს.

ნაშრომზე მუშაობის მიმდინარეობისას განვიხილეთ და დავამუშავეთ საკითხთან დაკავშირებული კვლევები, პედაგოგების მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები და წყაროები, რომლებიც უკავშირდებოდა შემაჯამებელ დავალებებს. ჩავატარეთ თემასთან დაკავშირებით შესაბამისი კვლევა შუახევის, ქედის საჯარო სკოლებსა და ბათუმის კერძო სკოლებში. კვლევის განხორციელების ძირითად მეთოდად გამოვიყენე ანკეტირების, ტესტირებისა (ღია და დახურული კითხვები) და ინტერვიუს მეთოდი. გამოვიკვლიე თუ შემაჯამებელი დავალების რა ფორმას ანიჭებდნენ უპირატესობას, რა ფორმის შემაჯამებელ დავალებებს ატარებდნენ ხშირად. ასევე დავინტერესდი მასწავლებელთა მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებების ეფექტურობით, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე რამდენადაა მორგებული შემაჯამებელი დავალებები.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული გვაქვს რეკომენდაციები, რომელიც უთუოდ ეფექტური იქნება ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში.

ნაშრომის გამოყენება შეუძლიათ სტუდენტებსა და პრაქტიკოს მასწავლებელს, დიდ დახმარებას გაუწევს სკოლაში წარმატებული მოღვაწეობისა და კარიერული წინსვლისათვის.

თემა მოიცავს შესავალს, სამ თავს, ცხრა პარაგრაფს, დასკვნასა და ლიტერატურის დასახელებას.

Annotation

Tamar Tsintsadze, Master of Education at St. Tbel Abuseridze Teaching University, in her paper "Interactive Teaching and Summary Assignments" mentions ways of teaching and learning between teacher and student that will help guide the lesson process, the effectiveness of summative assignments and the completeness of the assignments.

The aim of the topic is for the teacher to use different methods and techniques for career advancement and development, which will be effective and interesting for the students both in the lesson and in the process of conducting summative assignments.

In the course of working on the paper, we reviewed and elaborated on the research related to the issue, the summative assignments conducted by the teachers, and the sources related to the summative assignments. We conducted relevant research on the topic in Shuakhevi, Keda public schools and private schools in Batumi. I used the method of survey, testing (open and closed questions) and interview as the main methods of conducting the research. I researched what form of summative assignment was preferred, what form of summative assignment was often used. I was also interested in the effectiveness of the various summative assignments of teachers, how well the summative assignments are tailored to the needs and interests of the students.

Based on the analysis of the research results, we have developed recommendations that will undoubtedly be effective in overcoming the problems related to this issue.

The paper can be used by students and practicing teachers, will be of great help for successful schooling and career advancement.

The topic includes an introduction, three chapters, nine paragraphs, a conclusion, and a title for the literature.

სარჩევი

თავი I. მოთხოვნები შემაჯამებელი დავალებები ესგ-ს მიხედვით:

§1. შემაჯამებელი დავალების გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე

§2. შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტირება

§3. შეფასების ფორმები და კომპონენტები საფეხურების მიხედვით

§4. შემაჯამებელი დავალების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია

თავი II. შემაჯამებელი სამუშაოების ფორმები:

§1. წერითი შემაჯამებელი სამუშაოები: ტესტირება,თხზულება, ესე, პროექტი, რეფერატი, სტატია, ინტერაქტიული საქაღალდე

§2. ზეპირი შემაჯამებელი სამუშაოები: პრეზენტაცია, პრესკონფერენცია, ცოდნის აუქციონი, პერსონაჟის ამბავი

თავი III. ისტ-ისგამოყენებით შემაჯამებელი დავალების შესრულება

§1 ელექტრონული პრეზენტაცია

§2. ვირტუალური დაფა ერთობლივი მუშაობისთვის

§3.  ონლაინ ტესტით მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება

დასკვნები და რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

## შესავალი

**ნაშრომის აქტუალობა:** მასწავლებელი, ეს არის პროფესია რომელიც მოითხოვს მუდმივად სიახლეების ძიებას, განსაკუთრებით მნიშნელოვანია სწორად დაგეგმოს და განახორციელოს საგაკვეთილო პროცესი, შექმნას გაკვეთილზე მორგებული სასწავლო რესურსი. ამ ყველაფრისთვის აუცილებელია მუდმივი განვითარება და სიახლეების ძიება, რაც ხელს შეუწყობს თითოეული გაკვეთილი გახადოს მრავალფეროვანი, საინტერესო, მოსწავლეებზე მორგებული და შედეგზე ორიენტირებული.

საგაკვეთილო პროცეში სიახლეების დანერგვა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს. ეს ხელს შეუწყობს მასწავლებელს აამაღლოს მოსწავლეებში მოტივაცია და დაეხმაროს მათ შესაძლებლობების წარმოჩენაში. სწორად შერჩეული შემაჯამებელი დავალება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მიღწევის წინაპირობაა. ამიტომ აუცილებელია მასწავლებელმა სასწავლო პროცესში გამოიყენოს შემაჯამებელი დავალებების სხვადასხვა ფორმები.

ყველა პედაგოგს სურს საგაკვეთილო პროცესი, მით უფრო შემაჯამებელი დავალება, გახადოს საინტერესო და მრავალფეროვანი, რათა მოსწავლეები არ იყვნენ მუდმივად ტესტური დავალების შესრულების მოლოდინში, რაც ვერ წარმოაჩენს მოსწავლეთა საფუძვლიან ცოდნას არსებული საკითხის შესახებ, შესაბამისად, მასწავლებელიც ვერ მიიღებს სრულფასოვან შედეგს. შემაჯამებელი დავალებების არაერთი საიტერესო ფორმა არსებობს, რომელიც გაცილებით ეფექტური და შედეგზე ორიენტირებულია. სამწუხაროდ, ყველა პედაგოგი არ იყენებს სხვადახსვა მეთოდებსა თუ აქტივობებს, რის გამოც შემაჯამებელი დავალება ხშირად რუტინული, ერთფეროვანი და უინტერესოა მოსწავლეებისთვის. ეს მათ შდეგებზეც აისახება. თითოეული მასწავლებელი, რომელიც ასწავლის სკოლაში, ვალდებულია იყოს მუდმივად სიახლეების ძიებაში, მით უფრო, რომ დღესდღეობით აღარაა რთული სიახლეების მოძიება და დანერგვა საგაკვეთილო პროცესში.

**კვლევის მიზანი:**

მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალების ფორმების მოძიება, საგაკვეთილო პროცეში დანერგვა, შესრულების გზებისა და ხერხების, შეფასების რუბრიკების

შემუშავება მასწავლებელთა მიერ, რაც ორიენტირებული იქნება უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე

**კვლევის ამოცანები**

1. ინფორმაციის მოპოვება კვლევების საშუალებით; 2. ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი; 3. კვლევის შედეგის წარმოჩენა; 4. შემაჯამებელი დავალების ეფექტურად ჩატარებისა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინების მნიშვნელობის დასაბუთება .

**კვლევის მეთოდები:**

წყაროების ანალიზი, კითხვარი, ელექტრონული გამოკითხვა, ინტერვიუ.

**კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** ინტერნეტი, ელექტრონული ბიბლიოთეკა, საჯარო და კერძო სკოლები.

**კვლევის თეორიული მნიშვნელობა:**

გაანალიზდა შემაჯამებელი დავალებების გამოყენების შესახებ სხვადასხვა პედაგოგთა შეხედულებები და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები და დასკვნები.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:**

მასალები წარმოდგენილია რეკომენდაციების სახით, რომელიც იძლევა მათი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

**კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წამოადგენს:**

მოქმედ მასწავლებლებსა და სტუდენტებს, რომლებიც ემზადებიან მასწავლებლობისათვის. მასწავლებლებს შეეძლებათ გამოიყენონ პრაქტიკაში არსებული მასალა, ხოლო სტუდენტებს სწავლების ხარისხის ამაღლებასა და მომავალი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში.

**ნაშრომის სტრუქტურა:**

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და ცხრა პარაგრაფის, კვლევის, დასკვნისა და ლიტერატურის დასახელებისგან. პირველ თავში განხილულია, თუ რა როლს ასრულებს შემაჯამებელი დავალების შედგენისას მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები, რამდენად მნიშვნელოვანია მისი სწორი გამოყენება და შედეგის მიღწევა, რომელიც აისახება საგაკვეთილო პროცესზე. პირველ პარაგრაგში „შემაჯამებელი დავალებების გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე" განხილულია, თუ რა შედეგს უნდა მიაღწიოს მასწავლებელმა, რა

ფორმები არსებობს შემაჯამებელი დავალებებისა და რა ტიპის შემაჯამებელი დავალებების გამოყენებაა შესაძლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

მეორე პარაგრაფში „შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტირება“ განხილულია, თუ რა ვალდებულები ეკისრება მასწავლებელს შემაჯამებელი დავალების ჩატარების შემდეგ, რას ითვალისწინებს ანალიზის წერისას, რა დოკუმენტის გამოყენებაა აუცილებელი და შეფასების რუბრიკის შედგენის დროს რა ფაქტორების გათვალისწინება ევალება.

მესამე პარაგრაფში „შეფასების ფორმები და კომპონენტები საფეხურების მიხედვით“ საუბარია შეფასების ორ ძირითად ფორმაზე, რომელიც გამოიყენება როგორც საფეხურების გათვალისწინებით, ასევე სემესტრის მიხედვით. რა კრიტერიუმებს ექცევა ყურადღება შემაჯამებელი დავალების შესრულების დროს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან. რატომაა აუცილებელი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება.

მეოთხე პარაგრაფში „შემაჯამებელი დავალების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია“ როგორ შეიძლება დაიწყოს შემაჯამებელი დავალების შექმნა, რა პროცესები უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორ შეფასების რუბრიკას ქმნის მასწავლებელი და რაში ეხმარება მას ეს.

მეხუთე პარაგრაფში „წერითი შემაჯამებელი დავალებები“ განხილულია რომელი წერითი დავალებები გამოიყენება სასწავლო პრაქტიკაში და რა პირობები და სტანდარტებია გასათვალისწინებებილი თითოეულის გამოყენების დროს, რაში ეხმარება ამ ფორმების გამოყენება მასწავლებელს.

მეექვსე პარაგრაფი „ზეპირი შემაჯამებელი სამუშაოები: პრეზენტაცია, პრესკონფერენცია, ცოდნის აუქციონი, პერსონაჟის ამბავი“ განხილულია, რომელი ფორმები გამოიყენება სასწავლო პრაქტიკაში ზეპირი შემაჯამებელი დავალების დროს და შემოთავაზებულია თითოეულის ინსტრუქცია და ნიმუშები.

მეშვიდე პარაგრაფის „ელექტრონული პრეზენტაცია“ მიზანია,მასწავლებელი გაეცნოს ელექტრონული პრეზენტაციის შექმნის პრინციპებს, მიიღოს ინფორმაცია საინტერესო ვებგვერდების შესახებ, რომელიც დაეხმარება სხვადასხვა ტიპის პრეზენტაციების შექმნაში.

მერვე პარაგრაფი „ვირტუალური დაფა ერთობლივი მუშაობისთვის“ საუბარია თუ რა დადებითი მხარე აქვს ონლაინ დაფას, ვიზუალურსა და დისტანციური სწავლების პროცესში რამდენად მარტივი და პრაქტიკულია მისი გამოყენება.

მეცხრე პარაგრაფი „ონლაინტესტით მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება“ საუბარია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესში ელექტრონული სისტების გამოყენება, რამდენად ეფექტურია და რა შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს ონლაინტესტით სარგებლობის პროცესი.

ბოლოს, მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელს არსებული რესურსის გამოყენებასა და ახლის შექმნაში, რომლის ავტორიც იქნება თვითონ. დასკვნები გაკეთებულია ჩატარებული კვლევების საფუძველზე და მოიცავს იმ სირთულეებს, რომელზეც საუბარი არის როგორც თემაში, ისე საგანმანათლებლო სივრცეში

თავი I. მოთხოვნები შემაჯამებელი დავალებები ესგ-ისმიხედვით

1. შემაჯამებელი დავალებები ქართულიენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე

გარკვეული სასწავლო მონაკვეთის შესწავლა-დამუშავების შემდეგ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს მოეთხოვებათ შემაჯამებელი დავალებების ჩატარება. შემაჯამებელი დავალება მასწავლებელსა და მოსწავლეს უქმნის გარკვეულ წარმოდგენას - რამდენადაა დაძლეული სასწავლო ერთეული, რამდენად წარმოჩნდა სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და/ან უნარ-ჩვევები სასწავლო წლის კონკრეტულ ეტაპზე.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნასადა უნარ-ჩვევებს. შესაბამისად, ფორმის თვალსაზრისით შემაჯამებელი სამუშაო შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი მიმართულებით, იქნება ეს ზეპირმეტყველება, წერა თუ კითხვა.

გავრცელებულია მცდარი თვალსაზრისი, რომ შემაჯამებელი დავალების ერთადერთი ფორმა წერითი ტესტური დავალებებია. ეს, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ მასწავლებელს ხშირად სთხოვენ, შემაჯამებელი სამუშაოს წერილობით ანალიზს თან დაურთოს ჩატარებული შემაჯამებლის გასწორებული სამი ნიმუში ან ეს, შესაძლოა, ყველაზე მარტივი გამოსავალი იყოს რუტინული მოთხოვნის ფორმალურად დასაკმაყოფილებლად.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ შემაჯამებელი სამუშაო გავხადოთ ეფექტური? პასუხი მარტივია უნდა გამოვიყენოთ მრავალფეროვანი ფორმები, რადგან დასმულ შინაარსობრივ ან ფაქტობრივ კითხვაზე ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთ-ერთის მონიშვნა ვერ გვაძლევს საკმარის ინფორმაციას მოსწავლის ცოდნა-უნარებზე.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის შემაჯამებელი დავალებების გამოყენება:

1.მხატვრული/არამხატვრული ტესტების გაგება-გააზრება;

2.სტანდარტით განსაზღვრული სხვადასვა სახის ტექსტების შედგენა;

3.არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტული საკითხის/თემის შესახებ;

4.ზეპირი მოხსენების წარმოდგენა;

5.ესეს დაწერა;

6.პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვა) საშუალებით;

7.გამომეტყველებითი კითხვა (ინდივიდუალური ან გუნდური);

8.ლიტერატურული სალონი;

9.ზეპირი გამოსვლის აუდიო ან აუდიოვიზუალური ჩანაწერის მოსმენა და შეფასება;

როგორც ვხედავთ, გარდა წერილობითი ფორმისა, მასწავლებელს შეუძლია კლასში ჩატარებულ დისკუსიას, მსჯელობას ან მინისპექტაკლსაც კი მისცეს შემაჯამებლის ფორმა.

### §2. შემაჯამებლი დავალების დოკუმენტირება

ეროვნული სასწავლო გეგმის მეოთხე თავში, რომელიც მოსწავლის შეფასების სისტემას ეძღვნება, აღნიშნულია, თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

შემაჯამებელი ტესტური დავალებების შემთხვევაში ეს, როგორც უკვე აღინიშნა, შესრულებული წერითი დავალებების გასწორებული ნიმუშია.სხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემთხვევაში კი მასწავლებელს შეუძლია წარადგინოს ფოტო ან ვიდეო ჩანაწერი.

ცალკე საკითხია ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს მოეთხოვებათ მასწავლებლებს. რამდენად ამართლებს ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაო მასზე დახარჯულ დროს, ენერგიას.

შემაჯამებელი დავალების ანალიზის წერისას მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელთ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის

დოკუმენტი, სადაც კლასების მიხედვითაა გაწერილი სტანდარტი - წლის ბოლოს რა შედეგებს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ.

თუ რა ფორმა შეარჩია მასწავლებელმა, შემაჯამებლის წერილობით გაანალიზებისას, იმის მიხედვით მიუთითებს მიმართულებას და დაურთავს შესაბამის აღნიშვნას. მაგალითად, თუ მასწავლებელმა საშუალო საფეხურზე შეარჩია შემაჯამებლის ფორმა - ზეპირი მოხსენების წარდგენა - სტანდარტის თანახმად, ეს შეესაბამება შემდეგ გრაფებს **ზეპირმეტყველება: ქართ. IX.1.** მოსწავლეს შეუძლიამოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზისი სადავო ან პრობლემურ საკითხზე/ **ქართ.IX.5.**მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება.

შეფასების რუბრიკის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სამსჯელო საკითხი, კლასში ჩატარებული სამუშაოები, კონკრეტული კლასის საჭიროებები. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი შეფასების რუბრიკას შეათანხმებს კლასთანაც. ნებისმიერ შემთხვევაში, შეფასების კრიტეტიუმების წინასწარ გაცნობა მასწავლებლისთვის საჭიროა.

**§3.შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების ტიპები, ფორმები და რუბრიკები საფეხურების მიხედვით**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმავითარებელი შეფასების შესახებ ცნობილია ის, რომ განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა.

განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. განმავითარებელი შეფასების საგანია სწავლის პროცესი. განმავითარებელ შეფასებაში წარმატების კრიტერიუმია კონკრეტული მოსწავლის წინსვლა საკუთარ მიღწევებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებაა

მოსწავლის წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა.

თუ განმსაზღვრელი შეფასებისთვის ასე თუ ისე ადვილი წარმოსადგენია მისი მიმდინარე და შემაჯამებელი ვარიანტები, საკმაოდ ბუნდოვანია, რით განსხვავდება ერთმანეთისგან მიმდინარე განმავითარებელი შეფასება და შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება. მიმდინარე განმავითარებელი შეფასება ზემოხსენებულ წყაროში განიმარტება როგორც ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი და სხვა, რომელშიც ვუხსნით მოსწავლეს, როგორ გააუმჯობესოს შედეგი, შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება კი არის რაიმე თემის,დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული სიტყვიერი შეფასება, კომენტარი, რუბრიკით შეფასება და სხვა.

პრაქტიკაში უმეტესწილად მიმდინარე განმსაზღვრელი ან შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებები კეთდება. მათ ძირითადად მიღწევათა აღრიცხვის ფუნქცია აქვთ და აღრიცხვის შემდეგ ჩვეულებრივ გრძელდება სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული სამუშაოები. მოსწავლეთა წარუმატებელი ნაწილი რჩება იმ უფსკრულში, რომელშიც აღმოჩნდა სასწავლო თემის სწავლების პერიოდში,განმსაზღვრელი შეფასების ჩატარებამდე.

მიმდინარე განმავითარებელი შეფასება დამკვიდრებული პედაგოგიური პრაქტიკაა, მაგრამ მისი საინფორმაციო უკუგება მინიმალურია ნაკლებად დახვეწილი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების გამო. იშვიათი და არასრულყოფილიაშემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება: თემის დამუშავების ბოლოს მის ჩატარებას დიდი ეფექტი არ ექნება, რადგან მოსწავლეები და მასწავლებლები რაიმეს გამოსწორებას ვეღარ შეძლებენ.

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: ა)მიმდინარე საშინაო დავალება; ბ)მიმდინარე საკლასო დავალება; გ)შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით ფასდებიან შემდეგ კომპონენტში: ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII

კლასები), ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), გ) შემაჯამებელი დავალება (V მეხუთე მეორე სემესტრი, VI-XII კლასები)

I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

I–IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების დროს შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები სხვადასხვა საფეხურზე:

სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების მრავალმხრივი გააზრება-გაანალიზებადაშეფასება;

• ტექსტების ინტერპრეტირება;

• ტექსტების შედარებითი ანალიზი;

• თხრობა;

• მსჯელობა;

• სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა-შეთხზვა;

• ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია;

• გამომხატველობითიკითხვა;

• გრამატიკული და ლექსიკური ცოდნა;

• მართლწერა;

• შემოქმედებითობა;

• სასწავლო სტრატეგიების (კითხვის, წერის, მოსმენის, ზეპირმეტყველების) გააზრებულად გამოყენება;

• მხატვრული ხერხების ცოდნა;

• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და გაანალიზება;

• ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობების მახასიათებლები და სხვა.

სასიცოცხლოუნარ-ჩვევები:

• შემოქმედებითობა;

• თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფისწევრებთან);

•სტრატეგიებისგააზრებულადგამოყენებასასწავლოსაქმიანობისხელშეწყობისმიზნით;

• სასწავლოაქტივობებშიმონაწილეობისხარისხი.

უნარ-ჩვევებიფასდებაშემდეგიდავალებებით:

• დასმულკითხვებზეპასუხისგაცემა;

• სხვადასხვატიპისგრამატიკულიდალექსიკურისავარჯიშოები;

• დისკუსიისმოწყობაპრობლემურსაკითხთანდაკავშირებით;

• თხზულების, ესეის, რეფერატისშედგენა;

• ინდივიდუალურიანჯგუფურიპრეზენტაციისმომზადება;

• სხვადასხვატიპისსაკითხავიდამოსასმენიამოცანებისგადაჭრა;

• სხვადასხვატიპისზეპირიაქტივობისშესრულებადამოუკიდებლად, მეწყვილესთანერთადანჯგუფურად;

• სხვადასხვატიპისტექსტისშექმნადამოუკიდებლად, მეწყვილესთანერთადანჯგუფურად;

• პროექტისგანხორციელება.

დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ უნარ-ჩვევებს:

• ხმამაღალიკითხვა;

• ჩუმიკითხვა (მარტივისაკითხავიამოცანებისდამოუკიდებლადგადაჭრა);

• გამოწერა;

• გადაწერა;

• კარნახით წერა;

• წარმოსახვისუნარი;

• ეპიზოდებისთხრობა;

• შინაარსისვრცლადდამოკლედგადმოცემა;

• შინაარსისგადმოცემასაკვანძოსიტყვებზედაყრდნობით.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს მოსწავლეების კრიტერიუმები.

ეროვნული სასწავლო გეგმა საფეხურებისა და კლასების მიხედვით თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება.

თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

გთავაზობთ წერითი და ზეპირი შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემებისა და შაბლონების ნიმუშებს:

ნიმუში 1. შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში

| | ქულები |
|---|---|
| **პირობასთან შესაბამისობა** | |
| იცავს დროის ლიმიტს | **0 - 1** |
| იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა) | **0 - 0, 5 - 1** |
| **კომუნიკაციური უნარ-ჩვევები** | |
| გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას | **0 – 1- 2** |
| მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები | **0 - 1- 2** |
| გამოაქვს ადეკვატური დასკვნა | **0 - 1** |
| **ენობრივი უნარ-ჩვევები** | |
| ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა | **0-1** |

| | |
|---|---|
| დონეს და ა.შ.) | |
| იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ. განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა.შ.) | **0 - 1** |
| **შემოქმედებითი უნარ-ჩვევები** | |
| აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები | **0 - 1** |
| **ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10**<br>**(ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)** | |

შემაჯამებელი დავალების სტანდარტთან შესაბამისობა:

ქართ. VIII. 1. მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.

ქართ. VIII. 3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.

## §4. შემაჯამებელი დავალების ანალიზი. მასწავლებლის რეფლექსია

კარგი შემაჯამებელი დავალებისა და შესაბამისი ანალიტიკური რუბრიკის შექმნა ადვილი საქმე არ არის, ძირითად, საყრდენ კომპონენტებს - ამოცანას ან აქტივობას, ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის სტანდარტებსა და ინდიკატორებს, შეფასების კრიტერიუმებსა და მიღწევის დონეებს - რამდენჯერმე ვუბრუნდებით და გადავაკეთებთ იმისთვის, რომ ყველა ეს კომპონენტი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ. ჩვენ შევეცდებით გამარტივებული, სქემატური სახით აღვწეროთ და წარმოვადგინოთ საბოლოო პროდუქტის - შემაჯამებელი დავალებისა და რუბრიკის შექმნისთვის საჭირო სამუშაოები.

შემაჯამებელი დავალების შექმნა შესაძლებელია ორგვარად დაიწყოს: თუ კარგი ამოცანის ან აქტივობის ჩანასახი, ნიმუში ან იდეა გვაქვს, მაშინ სტანდარტების

კრებულიდან უნდა შევარჩიოთ ის ინდიკატორები, რომლებთანაც ეს ამოცანა ან აქტივობა შესაბამისობაშია. მეორე გზა, პირიქით, იწყება ინდიკატორების გარკვეული, შეზღუდული პაკეტიდან, როგორც ამოსავალი წერტილიდან, და შესაბამისი ამოცანისა თუ აქტივობის ჩამოყალიბებისაკენ მიდის.

პირველ შემთხვევაში საჭიროა გულდასმით გამოვიკვლიოთ, მართლა სრულად და რეალურად ამოწმებს მოცემული აქტივობა სტანდარტებისა თუ ინდიკატორების მონიშნულ კრებულს, თუ არა. ამისთვის ინდიკატორების მონიშნული კრებულიდან დაუნდობლად უნდა მოვაცილოთ ყველა ის ინდიკატორი, რომლებიც დავალებაში მოთხოვნილი მოქმედებებისაგან მცირედ მაინც განსხვავებულ კომპონენტებს შეიცავს და მხოლოდ ის ინდიკატორები უნდა დავტოვოთ, რომელთა მიღწევასაც აქტივობაში ნაგულისხმები მოქმედება ადასტურებს. თავის მხრივ, თვით ამოცანა ან აქტივობაც ისე უნდა გადავამუშაოთ, რომ იგი აუცილებლად ამოწმებდეს გადარჩეული სტანდარტებისა და ინდიკატორების მიღწევას და არ მოიცავდეს სხვა, არასაჭირო მონაცემებს, პირობებსა თუ შეკითხვებს. ასე იქნება მიღწეული შემაჯამებელი დავალების ეფექტურობა - იგი მოიცავს მხოლოდ იმ აუცილებელ კომპონენტებს, რომლებიც სტანდარტების შესაბამისად მოითხოვება.

მეორე შემთხვევაში, როდესაც თვით სტანდარტები ან ინდიკატორებია შემაჯამებელი დავალების შექმნისთვის ამოსავალი წერტილი, უნდა დავეყრდნოთ ინდიკატორებში მოტანილ ზმნებს, ცნებებსა და სხვა ობიექტებს. დავალებაში ყველა იმ მოქმედებების შესრულება უნდა მოვითხოვოთ ყველა იმ ცნებებთან და ობიექტებთან მიმართებაში, რომლებიც ინდიკატორებშია დაფიქსირებული. ეს პროცესი კიდევ უფრო იტერაციულია, ვიდრე პირველ შემთხვევაში, თუმცა საკმაოდ ნაყოფიერი, რადგან შედეგი ეფექტურია  მიღებული დავალება მორგებულია უშუალოდ იმ სტანდარტებსა თუ ინდიკატორებს, რომლებისგანაც იგი „ამოიზარდა“.

ცხადია, რომელიმე ამ გზით  მიღებული შემაჯამებელი დავალება ჯერ კიდევ დასახვეწია. ახლა უკვე იმის დრო მოვიდა, რომ თვალი გადავავლოთ ნამუშევარს, „ზემოდან დავხედოთ“ თითქოს „გაუცხოებულ“ ჩვენ მიერვე შექმნილ პროდუქტს და ერთიანობაში შევაფასოთ იგი. ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ჩვენ თვითონ შევასრულოთ ჩვენი დავალება და ჩამოვწეროთ ყველა ის მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც შევაფასებდით - შეასრულა თუ არა მოსწავლემ დავალება და რამდენად სრულყოფილად შეძლო მან ეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ უნდა

დავაფიქსიროთ - როგორ შეიძლებოდა ემოქმედა მოსწავლეს დავალების შესრულებისთვის, რა სახით წარმოადგენდა იგი ნამუშევარს და რა ფაქტები უნდა მოგვეძიებინა მის ნამუშევარში, რომლებიც დაადასტურებდა მოსწავლის არსებულ კომპეტენციებსა და მათი განვითარების დონეს. კარგი იქნება, თუ დაწვრილებით წარმოგიდგენთ დავალების შესრულების განსხვავებულ გზებსა და გამოვლენილი ოსტატობის სხვადასხვა მახასიათებლებს.

გარწმუნებთ, რომ ამგვარი შრომა „წყალში გადაყრილი“ ნამდვილი არ არის: როგორც წესი, ზემოთ აღნიშნულ პროცედურას შედეგად მოსდევს დავალების კორექცია ან იმ ინდიკატორების კრებულის ოპტიმიზაცია,რომელსაც მოცემული დავალება შეესაბამება. გარდა ამისა, რუბრიკის შემნისთვის შესრულებულია აუცილებელი „შავი სამუშაოები“, რომლებიც მოსწავლის ოსტატობის დონეზე მიუთითებს.

შემაჯამებელი დავალების შექმნა თითქმის დასრულებულია. დარჩა მნიშვნელოვანი ბოლო სამუშაო - იმის გააზრება და დაფიქსირება ინსტრუქციების სახით, თუ რა მასალები ან დამატებითი ინფორმაციაა საჭირო დავალების შესრულებისთვის,რა დრო დასჭირდება დავალების შესრულებას ან სხვა რა სპეციფიკური პირობებია საჭირო დავალების შესრულებისთვის, რომელიც დავალების თავისებურებებიდან გამომდინარეობს და ხელს შეუწყობს მოსწავლეს დავალების შესრულებაში, ხოლო მასწავლებელს - შესრულების შემოწმება-შეფასებაში.

ახლა გადავიდეთ რუბრიკის დამზადების აღწერაზე. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ხელთ უკვე არის შემაჯამებელ დავალებასთან დაკავშირებული სტანდარტები თუ ინდიკატორები, ანუ შემაჯამებელი დავალების ძირითადი ობიექტები დამოქმედებები ამ ობიექტებთან მიმართებაში, მოსწავლეთა მიღწევების შეფასებისათვის აუცილებელი მტკიცებულებები მოსწავლეთა სავარაუდო ნამუშევრებში.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ამ მასალების საფუძველზე შექმნილი რუბრიკა?

1.მიუხედავად იმისა, რუბრიკა განმავითარებელი შეფასებისთვის გამოიყენება თუ განმსაზღვრელისთვის, იგი ნებისმიერ შემთხვევაში აგებული უნდა იყოს ისე,

რომ მოსწავლემ ამ რუბრიკით იხელმძღვანელოს და გაარკვიოს, რას მოითხოვენ მისგან და რას ნიშნავს დავალების შესრულება ამა თუ იმ დონეზე.

2.ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად, რუბრიკა შემაჯამებელი დავალების შესრულების დაწყებამდე მოსწავლეს წინასწარ უნდა წარედგინოს. ეს დამატებით პირობას ადებს რუბრიკის იმ ვერსიას, რომელიც მოსწავლეს უნდა წარედგინოს - რუბრიკა არ უნდა კარნახობდეს მოსწავლეს დავალების შესრულების გზებს თუ სავარაუდო პასუხებს.მაგალითად, რუბრიკა ან დავალების შეფასების სქემას, რომელშიც მოსწავლის მიერ ამოცანის ამოხსნისთვის შესრულებული ნაბიჯების მიხედვით ქულების მინიჭების ნორმებია განსაზღვრული, არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

3.რუბრიკა აგებული უნდა იყოს ისე, რომ მასწავლებელმა იხელმძღვანელოს და გაარკვიოს,როგორია მოსწავლის მიღწევები შესაფასებელ სტანდარტებთან მიმართებაში; გამოიყენოს იგი უკუკავშირის ფორმულირებისთვის, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში - ნიშნის დაწერისთვისაც. ამისათვის შეფასების კრიტერიუმების დაკმაყოფილების დონეების მკაფიოდ გამიჯნისთვის ზედმიწევით დეტალიზებული ფორმულირებებია საჭირო.

მაშასადამე, შესაძლებელია გახდეს რუბრიკის ორი ვერსიის დამზადება: ერთი იქნება მასწავლებლის სამუშაო ვერსია, სადაც დეტალურად გაიწერება მოსწავლის ნამუშევარში რომელი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში ოსტატობის რა დონე მიენიჭება მოსწავლეს. რუბრიკის ეს ვერსია არ იქნება საჭირო. ხოლო მეორე, მოსწავლეებისთვის წარსადგენი ვერსია იქნება შესაფერისად შეკვეცილი სახით, თუმცა მოსწავლეთა დასაკვალიანებლად მათი კომპეტენციებისადმი წაყენებული მოთხოვნების თვალსაზრისით - საკმაოდ ინფორმაციული.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შევუდგეთ რუბრიკის დამზადების პროცედურების აღწერას. უპირველეს ყოვლისა, სტანდარტებისა თუ ინდიკატორების შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს შეფასების კრიტერიუმები - არაა სავალდებულო კრიტერიუმები სრულად ემთხვეოდეს ინდიკატორებს. საკმარისია, მათ საფუძველზე ჩამოყალიბდეს მხოლოდ ის მოთხოვნები, რომლებშიც დავალების თავისებურებებია გათვალისწინებული. კერძოდ, ინდიკატორებში მითითებული ობიექტების და მოქმედებების არე შეკვეცილი და შეზღუდულია კონკრეტული დავალების პირობებით.

დარჩა მხოლოდ მოსწავლის მიღწევის დონეების გამოყოფა და გამიჯვნა თითოეული კრიტერიუმისთვის და კონკრეტული ანალიზური რუბრიკაც მზად იქნება. მიზანშეწონილია სამი ან ოთხი დონის გამოყოფა. ეს დონეები შესაძლებელია, მაგალითად, ასე დასათაურდეს: ჯერ ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს; აკმაყოფილებს სტანდარტებს; სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს.

თუ მოსწავლეებისთვის ქულების მინიჭებას ვაპირებთ,უმჯობესია ქულები ყოველი კრიტერიუმის თითოეულ დონეს ცალ-ცალკე მივუწეროთ - ეს გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობას ქულების მინიჭებასთან დაკავშირებით. შესაძლებელია, აგრეთვე, სხვადასხვა კრიტერიუმს წონაც მივანიჭოთ - ეს დამოკიდებულია ამა თუ იმ კრიტერიუმის მნიშვნელობაზე შესასრულებელ დავალებასთან მიმართებით.

მიღწევის დონეების გამიჯვნისთვის გადამწყვეტი როლი ენიჭება მტკიცებულებებს, რომლებიც შესაძლოა მოსწავლის სავარაუდო ნამუშევარში იყოს დაფიქსირებული. დონეების შესაბამისად და მოქნილი, განმაზოგადებელი ან გამაერთიანებელი ფორმულირების მოძებნა, რადგან მოსწავლეებისთვის წარსადგენ ვერსიაში დეტალური და კონკრეტული მტკიცებულებები არ უნდა ფიგურირებდეს ზემოაღნიშნული შეზღუდვების შესაბამისად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მტკიცებულებათა ენაზე ჩამოყალიბებული მიღწევის დონეებში მითითებულია არა მოსწავლის მიერ ჩადენილი ან ჩაუდენელი მოქმედებები, არამედ მხოლოდ ფაქტები, რომლებიც მოსწავლის ნამუშევარში დაფიქსირდა და ნამუშევრის კომპონენტებსა და მახასიათებლებს აღწერს. ამიტომ ეს ფორმულირებები ნეიტრალურია მოსწავლის ქცევის მიმართ და სრულიად თავისუფალია მასწავლებლის მოსწავლისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებათა გამოხატულებებისგან.

ასეთი რუბრიკები განმავითარებელი შეფასებისთვისაც გამოდგება და განმსაზღვრელისთვისაც.ამ უკანასკნელ შემთხვევაში შემაჯამებელი დავალებების შესრულებაში მიღებული ჯამური ქულა უნდა გადავაქციოთ, რისთვისაც ორი გზა არსებობს: 1) შევქმნათ მოსწავლის მიერ დაგროვებულ ჯამურ ქულათა ინტერვალების ნიშნებად კონვერტირების ცხრილი ან 2) მოსწავლის მიერ დაგროვებული ჯამური ქულა გავამრავლოთ ათზე, გავყოთ შესაძლო ქულათა მაქსიმუმების ჯამზე და დავამრგვალოთ მოსწავლეებისთვის ცნობილი წესით.

**შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმის ნიმუში:**

**კლასი** X

**საგანი** ქართული ენა და ლიტერატურა

**პედაგოგი** ----------------------------

**შემაჯამებელი დავალების რაოდენობა** 4

**შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების ფორმა** - ღია და დახურული ტესტები, , ეპიზოდის შინაარსი, ესე, თხზულება, საინფორმაციო–შემეცნებითი ტექსტის შექმნა, პროექტი

**კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების შეფასებები**

| № | სახელი გვარი | ტესტი N1 | ტესტი N2 | ტესტი N3 | ტესტი N4 |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| 4. | | | | | |
| საშუალო არითმეტიკული | | | | | |

*საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, ესგ-ს რომელ მისაღწევ შედეგზე გადის კონკრეტული შემაჯამებელი დავალება*

| წ/ ი | თარიღი | *კლასის საგნობრივი სტანდარტის შესატყვისი მისაღწევი შედეგი* |
|---|---|---|
| 1. | | |
| 2. | | |
| 3. | | |
| 4. | | |

**შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზი**

<table>
<tr><td colspan="5">შემაჯამებელი სამუშაოების ანგარიში<br>პედაგოგი -------------------------------<br>კლასი X<br>საგანი ქართული ენა და ლიტერატურა</td></tr>
<tr><td></td><td>N1<br>ტესტი</td><td>N2<br>ტესტი</td><td>ტესტი N3</td><td>ტესტი N4</td></tr>
<tr><td>კლასის საშუალო არითმეტიკული ქულა ამ შემაჯამებელში</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *რა გაუჭირდა კლასს ამ შემაჯამებელში* | | | | |
| რეკომენდაციები შემაჯამებელი სამუშაოების დაგემვისთვის | | | | |

მიღებული შედეგების ანალიზი -

დასკვნა –

რეკომენდაცია -

## თავი II. შემაჯამებელი სამუშაოების ფორმები

### §1. წერითი შემაჯამებელი დავალებები

სასწავლო პრაქტიკაში წერით შემაჯამებელ დავალებებად გამოიყენება ტესტირება, თხზულება, ესე, პროექტი, რეფერატი, მოხსენება, სტატია. გთავაზობთ თითოეულის ინსტრუქციასა და ნიმუშებს.

**ტესტი** განმსაზღვრელი შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით შეგვიძლია გავიგოთ, რა და როგორ ისწავლეს მოსწავლეებმა, რა უნარ-ჩვევები განუვითარდათ მათ.

ყოველი ცალკეული მიზნისთვის კარგად უნდა განისაზღვროს ტესტის ფორმატი, დავალებების ტიპები და შინაარსი, ასევე ისიც, რისთვის სჭირდება მასწავლებელს/სკოლას ტესტირების შედეგები. ტესტების შედგენისას დაცულ უნდა იქნას ოთხი პრინციპი:

1.დავალებები უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა შემოწმებაც ტესტირებით სურთ.

2.პედაგოგი წინასწარ ადგენს სწორ პასუხებს, რომელთა მიხედვითაც ერთმნიშვნელოვნად გაასწორებს დავალებებს;

3.სწორ პასუხებს ანიჭებს ქულებს;

4.ადგენს დროის ლიმიტს.

განურჩევლად იმისა რა სახისაა და რა მიზანს ემსახურება ტესტი, ის რამდენიმე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

- უნდა იყოს ვალიდური და სანდო.ინსტრუქციები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული.
- უნდა იყოს გაზომვადიმისი შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შედგენილი პასუხებით ან შეფასების სქემით; წინასწარ უნდა იყოს დადგენილი ქულების რაოდენობაც სწორი პასუხისთვის;
- განსაზღვრულ დროზე უნდა იყოს გათვლილი;
- უნდა იყოს გამჭვირვალე.

ტესტური კითხვები ღიაც შეიძლება იყოს და დახურულიც. დახურული კითხვების შემთხვევაში მოსწავლემ მოცემული შესაძლო პასუხებიდან მხოლოდ ერთი უნდა აირჩიოს, ღია კითხვების შემთხვევაში კი ასეთი არჩევანი არ არსებობს, მოსწავლემ პასუხი თვითონ უნდა მოიფიქროს.

**თხზულების** წერისას გასათვალისწინებელია: სამივე მითითებაზე უნდა იყოს პასუხი გაცემული და აბზაცები გამოყოფილი. აბზაცები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან. არ დაგავიწყდეთ, რომ მითითებები უნდა იყოს ტექსტიდან არგუმენტირებული და შესაფერისი ციტატებით გაფორმებული. ტექსტიდან გამოკვეთეთ მორალურ-ეთიკური პრობლემები, მთავარი სათქმელი აღნიშნეთ, რა მხატვრული ხერხებით შეძლო ავტორმა მოცემული სათქმელის მკითხველამდე მიტანა. ნაწერში უნდა გამოჩდეს ზოგადი ცოდნა, კარგი იქნება თუ ლიტერატურულ პარალელს გაავლებთ. თხზულების წერისას თავი უნდა აარიდოთ სტილისტურ ხარვეზებს, სინტაქსურ, მორფოლოგიურ-ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომებს. ფასდება განსაზღვრული ქულით. თხზულების ერთ-

ერთი გამოკვეთილი სახე არის მხატვრული ნაწარმოების ანალიზი. მხატვრული ნაწარმოები შეიძლება რამდენიმე მიმართულებით გაანალიზდეს, კერძოდ:

- საკუთრივ მხატვრული ნაწარმოების ანალიზი;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოჭრილი ცალკეული კონკრეტული პრობლემის ანალიზი;
- ნაწარმოების ლიტერატურულ-მხატვრული ანალიზი;
- ნაწარმოებთან დაკავშირებული ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების განხილვა;
- გმირების დახასიათება;
- პრობლემის ან გმირის შეპირისპირებითი ანალიზი;

შესაძლებელია ლიტერატურული ნაწარმოების როგორც ცალკეული ამ მიმართულებით გარჩევა, ისე მთლიანად ტექსტის ანალიზი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის გათვალისწინებით. ეს დამოკიდებულია თქვენს მიზანსა და კონკრეტულ ამოცანებზე.

ლიტერატურული ტექსტის ანალიზისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიტიკული წაკითხვა, ამდენად, მკითხველის როლი გაცილებით დიდია, რადგან ლიტერატურული ტექსტი ყველა სხვა ტიპის ტექსტზე მეტად იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას. ბუნებრივია, ინტერპრეტირება იმდენგვარად შეიძლება, რამდენი მკითხველიც ჰყავს ტექსტს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ინტერპრეტირება არ შეიძლება იყოს ბოლომდე თავისუფალი, მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე არსებითი ფაქტორი:

- გავლენები, რომლებიც, ერთი მხრივ, საკუთრივ ამ ნაწარმოებმა განიცადა და, მეორე მხრივ, მოახდინა სხვა მწერლების შემოქმედებაზე;
- რა არის ნაწარმოებში ტრადიციული და ინოვაციური.

ნაწარმოების მხატვრული ანალიზი, ამავე დროს, გულისხმობს ტექსტის ადეკვატურ გააზრებას, გაგებას, ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციისა და დეტალების გამიჯვნას, კონკრეტული ფაქტების განზოგადებასა და პარალელების მოყვანას, ამა თუ იმ სიმბოლოს მოძებნასა და განმარტებას.

აქედან გამომდინარე, ტექსტის ინტერპრეტაცია მოიცავს ობიექტურ, კონკრეტულ და დასაბუთებულ ინფორმაციას და არ არის განზოგადებული, სუბიექტური, ექსპრესიული საუბარი. შესაბამისად, თქვენი პოზიციაც უნდა იყოს

დამყარებული არა პირად შეგრძნებებსა და ემოციებზე, არამედ ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობაზე, დასკვნებიც უნდა იყოს სათანადო, დასაბუთებული და ტექსტური მასალით გამყარებული.

**ესე,** ნებისმიერი ტიპისა, შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან:

1. შესავალი

იმისთვის, რომ ესეს შესავალი ეფექტური და საინტერესო გამოვიდეს, სასურველია რამდენიმე მარტივი წესის დაცვა:ტექსტის შესავალ ნაწილში მკაფიოდ გამოკვეთეთ მიზანი, ანუ თავიდანვე გააცანით მკითხველს განსახილველი საკითხი; დასვით ისეთი კითხვა რომელზეც ისაუბრებთ ესეში;

2. ძირითადი ნაწილი

ძირითად ნაწილში გადმოეცით თქვენი მთავარი სათქმელი,განმარტეთ და დაასაბუთეთ თქვენ მიერ გამოთქმული დებულებები და მოსაზრებები

3. დასკვნითი ნაწილი

შეაჯამეთ ესეში გადმოცემული მოსაზრებები,მკითხველს კიდევ ერთხელ დაუკონკრეტეთ თქვენი მთავარი სათქმელი და დაასაბუთეთ შერჩეული თემის აქტუალობა.

ფორმის თვალსაზრისით გვხდება ორი სახის ესე:

1.ახსნითი - ინფორმაციული ესე

2.არგუმენტირებული ესე

ტესტის შესაქმნელად დეტალური გეგმის შედგენა გაგიადვილებთ ესეს წერას,რადგან სწორად შედგენილ გეგმას ეყრდნობა მთელი ტექსტი.

კარგი ესე რომ დავწეროთ საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1.შეარჩიე ესე შენი თემისთვის;

2.აირჩიე თემის მთავარი აზრი, ან თეზისი.

3.გაწერე ესე სამ ძირითად ნაწილად: შესავალი, მთავარი ნაწილი და დასკვნა/შეჯამება

4.შესავალი საინტერესო წინადადებით დაიწყე

5.პირველი წინადადების შემდეგ ჩამოაყალიბე ესეს მთავარი აზრი. ამ წინადადებამ უნდა განსაზღვროს მთლიანი ტექსტის დედააზრი

6.ყოველ ახალ აბზაცს წაუმძღვარე წინადადება, რომელიც ამ აბზაცს განსაზღვრავს

7.შესავალი დაასრულე მთავარი აზრის მოკლე შეჯამებით.

8.ძირითადი ნაწილი იდეის განვრცობას ემსახურება. გახსოვდეს, რომ შესავალში აღნიშნული თემის მიმოხილვით ესეს სტრუქტურა იკვრება

9.ესეს ძირითადნაწილში მოიყვანე მაგალითები და დამატებითი ინფორმაცია თემაზე. აქ უნდა განვითარდეს მთავარი იდეა და ბოლოს შეჯამდეს იგი. თითოეულმა მსგავსმა დასკვნამ მინიმუმ ორი მაგალითი ან ფაქტი უნდა განიხილოს მთავარი იდეის დასაცავად

11.ბოლო, დასკვნა აჯამებს მთელ ესეს და შესავალის პერიფრაზირებას ახდენს

12.დასკვნა დაიწყე წინადადებით, რომელიც გაიმეორებს პრინციპულ იდეას

13.ბოლოსწინა წინადადებამ უნდა გაიმეოროს თემის მთავარი თეზისი

14.ბოლო წინადადება მთავარი თეზისის სამომავლო პერსპექტივებს შეეხება.

**პროექტი** როგორც მეთოდი განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. ის არის კონკრეტული პრობლემის მოგვარებისკენ ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი შემოქმედებითი თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას.პროექტებზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვას, კვლევას, პრაქტიკულ აქტივობასა და შედეგების წარმოდგენას არჩეული საკითხის შესაბამისად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სწავლა-სწავლება გახდეს აქტიური და მიზანმიმართული. როგორც ცნობილია, პროექტული მიდგომა საჭიროა მაშინ, როდესაც პრობლემაა გადასაჭრელი. პროექტი როგორც მრავალფუნქციური მეთოდი საშუალებას აძლევს პროექტის ავტორს, დეტალურად გაწეროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისკენ ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო.

პროექტი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებად; ერთი საგნის ფარგლებში; რომელიმე საგნის ფარგლებში.

მასწავლებელი მოსწავლეების დამოკიდებულების მხრივ შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის სასწავლო პროექტი:

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გამზადებულ პროექტს. იგი თავად განსაზღვრავს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიას, მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემას.

მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს.

მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გასაჭრის გზებს.

საგანმანათლებლო პროექტი უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისგან:თავფურცელი, ინფორმაცია პროექტის ავტორისა და შესრულების შესახებ, პროექტის აღწერა, პროექტის შესრულების განრიგი, ბიუჯეტი/რესურსი, მოსალოდნელი შედეგები, მონიტორინგი და შეფასება.

განაცხადს უნდა დაურთოთ:დამატებითი ინფორმაცია/დანართები.

დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს ინტეგრირებულ სწავლებას. დაწყებული რამდენიმედღიანი სასწავლო პროექტიდან რომელიც,ერთი რომელიმე თემის გარშემო კონცენტრირდება და დამთავრებული პროექტებით,რომლებიც შეიძლება მთელი წლის სასწავლო გეგმას ფარავდეს.ის მოსწავლეებს მნიშვნელოვანი პრობლემების გამოძიებისკენ უბიძგებს. პროექტები,რომლებიც სწავლის მაღალ ხარისხს განაპირობებენ,შეიძლება განსხვავდებოდეს: თემატიკისა და მასშტაბის,შესასრულებელი დროის და კლასის მიხედვით. პროექტებზე მუშაობა მოსწავლეებს ააქტიურებს: პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, დოკუმენტირების, ინტერვიუს აღების, მკლევრის, შემოქმედებით, სხვა კუთხით.

პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა მოიცავს მნიშვნელოვან კითხვებს, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ სტანდარტებსა და მაღალ სააზროვნო დონეს ცხოვრებისეულ მიზნებთან.მოსწავლეებს უწევთ რეალური,ცხოვრებისეული როლების თამაში და მნიშვნელოვანი დავალებების შესრულება.

შემაჯამებელი დავალების ფორმად მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ **ანგარიშის დაწერა.** მაგალითისთვის გთავაზობთ პროექტის ანგარიშის ფორმას.

ამ ანგარიშში –თქვენ როგორც მონაწილეებმა უნდა წარმოადგინოთ თქვენი მიღწევები, ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, დაწვრილებით აღწერეთ თქვენი საქმიანობა, როგორ მიმდინარეობდა პროექტი, რა ეფექტი მიიღეთ.რა იყო ხელის შემშლელი პირობები.

ანგარიში უნდა ჩააბაროთ პროექტის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში

**1.ზოგადი ინფორმაცია** - პროექტის სახელი, და მიზნები, საკონტაქტო პირი, ტელეფონი

**2.შედეგები** - განხორციელდა თუ არა პროექტი წარმატებით და ვადებში, თუ არა, რა იყო ამის მიზეზები, რამდენად დამოუკედებლები იყავით პროექტის განხორციელებისას

**3.გთხოვთ აღწეროთ ჯგუფის ქმედებები** - თუ პროექტის მიმდინარეობისას ჩაერთო სხვა პირებიც, რომლებიც პროექტში არ იყვნენ ნახსენები თავიდან, გთხოვთ დაწეროთ მათი გვარები.

**4.განსაკუთრებული შემთხვევები** - მოხდა თუ არა ისეთი რამ, რამაც დადებითად ან უარყოფითად იმოქმედა პროექტის განხორციელებაზე.გთხოვთ დაწეროთ კონკრეტული ფაქტები:

**5.შეფასება** - მიაღწიეთ თუ არა დასახულ მიზანს?დაინტერესდნენ თუ არა თქვენს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ამ პროექტით?

**6. ფინანსური შეფასება** - წარმოადგინეთ ბიუჯეტის გახარჯვის დოკუმენტაცია(ზედნადებები, ქვითრები)

**7. დამატებითი ინფორმაცია** - საგრანტო თანხებზე ზედნადები ქვითრების ასლები, ფოტოები, და ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დაგჭირდათ ამ პროექტის განხორციელებისას, სტატიები გაზეთებში. ღონისძიებების აღწერა და ა.შ..

პროექტის დირექტორის ხელმოწერა:

საინიციატივო ჯგუფის წევრთა ხელწერები:

